ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02. 3726253001**

თარიღი:**10/09/2026**

დასკვნა

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული

პროექტების მოწონების თაობაზე - პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ განიხილა „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - განკარგულების პროექტი (შემდგომში „პროექტი“) და დაადგინა:

1. „პროექტი“ ითვალისწინებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელებას, კერძოდ კი:

- დაბა ურეკში შემოქმედელის ქუჩის რეაბილიტაცია - 1090 გრძ/მ - 1 218 928 ლარი.
- დაბა ურეკის შემოვლითი გზის I და II მონაკვეთების რეაბილიტაცია - 970 გრძ/მ - 776 295 ლარი.
- სოფ. სილაურისა და სოფ. ჯუმათის დამაკავშირებელი მე-2 ქუჩის რეაბილიტაცია - 1725 გრძ/მ - 1 428 195 ლარი.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ქუჩების რეაბილიტაციის საერთო ღირებულება განსაზღვრულია 3 423 418 ლარის ოდენობით.

კომისიის გადაწყვეტილებით „პროექტი“ რეკომენდირებულია საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი